

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის 2025 წლის 5 აგვისტოს #171/01-01 ბრძანებისა და ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის 2025 წლის 5 აგვისტოს #167/01-01 ბრძანებისა საფუძველზე

ფიზიკის დეპარტამენტში გამოცხადებული კონკურსის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 12 სექტემბრის #51/2025 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული საკონკურსო კომისიის

შემაჯამებელი ოქმი

ქ. თბილისი

29 სექტემბერი 2025

სხდომას ესწრებოდნენ

ალექსანდრე შენგელაია - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);

ნანა შათაშვილი - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);

თამაზ კერესელიძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;

რამაზ ხომერიკი - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;

თამარ ჭელიძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის მდივანი).

თსუ მე-2 კორპუსი, ოთახი # 216

სხდომას კომისიის 5 წევრიდან ესწრებოდა 5 წევრი:

1. ალექსანდრე შენგელაია - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
2. ნანა შათაშვილი - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. თამაზ კერესელიძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;
4. რამაზ ხომერიკი - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;

5. თამარ ჭელიძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის მდივანი);

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტზე პლაზმის ფიზიკის კათედრის პროფესორის სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.
2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტზე ელემენტარული ნაწილაკების და კვანტური ველების კათედრის ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.
3. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტზე რადიოფიზიკის, ფიზიკური პროცესების მოდელირების მიმართულების ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.
4. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტზე ატომისა და ატომბირთვის ფიზიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.
5. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის გადაცემა.

1. **მოისმინეს:** კომისიის თავმჯდომარის ალექსანდრე შენგელაიას ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის ორივე ეტაპის ჩატარებისა და ფარული კენჭისყრის შედეგების შესახებ. კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ საკონკურსო დოკუმენტაცია იყო დალუქულ მდგომარეობაში და კანდიდატის საკონკურსო დოკუმენტაციის ლუქებისა და შეფუთვის სიმრთელე დარღვეული არ იყო.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტზე პლაზმის ფიზიკის კათედრის პროფესორის (ბ-კატეგორია) ერთი საკონკურსო თანამდებობის დასაკავებლად საბუთები შემოიტანა ერთმა კანდიდატმა - დოქტორმა **ალექსანდრე თევზაძემ**.

კომისიის თავმჯდომარემ მიმოიხილა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გასაუბრებისა და კენჭისყრის შედეგები.

აღინიშნა, რომ ალექსანდრე თევზაძის

- **განათლება:** 1990-1995 თსუ ფიზიკის ფაკულტეტი, ფიზიკოსი/ფიზიკის მასწავლებელი (მაგისტრის გათანაბრებული), 2001-2006 - ლეუვენის კათოლიკური

უნივერსიტეტი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, მათემატიკის დეპარტამენტი, პლაზმური ასტროფიზიკის ცენტრი, ბელგია (დოქტორი)

- **აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი:** მეცნიერების დოქტორი (მათემატიკაში);
- **სამსახურებრივი გამოცდილება:** 05.2025 - დღემდე სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია, დირექტორი; 08.2024-04.2025 - სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია, სტრატეგიული განვითარების დირექტორი; 08.2019 -08.2024-სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, აღმასრულებელი დირექტორი/რექტორი; 2020 - 2025 - სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი; 07.2018-11.2017 - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, მინისტრის მოადგილე; 2015-2019 - აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, მკვლევარი; 2012-2019 - ფიზიკის დეპარტამენტი, კარნეგი მელონის უნივერსიტეტი, პიკბურგი, აშშ, მოწვეული ასოცირებული პროფესორი (Adjunct Associate Professor); 2009-2019 - ფიზიკის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, თსუ, ასოცირებული პროფესორი, 2007-2015 - აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული მკვლევარი; 2007-2007 პარიზის ობსერვატორია მედონში, პარიზი, საფრანგეთი, მოწვეული მკვლევარი; 2005-2007 - გარეგალაქტიკური ასტრონომიის განყოფილება, ტურინის ასტროფიზიკური ობსერვატორია, ტურინი, იტალია, კვლევის ასისტენტი; 2003-2007 აბასთუმნის - ასტროფიზიკური ობსერვატორია, თბილისი, მეცნიერ თანამშრომელი; 1998-2003 - აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია, თბილისი, უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი; 1995-1998 - კოსმოგეოფიზიკის დეპარტამენტი, კოსმოსური კვლევების ინსტიტუტი, მოსკოვი, რუსეთი, სამეცნიერო სტაჟირება.
- **პედაგოგიური სტაჟი:** 6 წელზე მეტი,
- **შეთავსებით მუშაობა:** სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია; დირექტორი

შეესაბამება ვაკანსიის პროფილს და სრულიად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. შესაბამისად კონკურსანტმა **I კატეგორიის** მიხედვით მიიღო შეფასება **„კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“**.

II კატეგორია - პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან - აღინიშნა, რომ კონკურსანტის **პედაგოგიური გამოცდილება:** 2009-2019 თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, მის მიერ **შემოთავაზებული და წაკითხული კურსები** ბაკალავრიატის 4 და მაგისტრატურის 6 საგანში, **სასწავლო-მეთოდური საქმიანობა:** ელექტრონული სალექციო კურსები ასტროფიზიკისა და პლაზმის ფიზიკის ამოცანების

მოდელირება I, ასტროფიზიკისა და პლაზმის ფიზიკის ამოცანების მოდელირება II, სამყაროს ევოლუცია ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტსა და ფიზიკის დეპარტამენტზე განხორციელებულ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სავალდებულო/არჩევითი კურსებია. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულიად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს.

კომისიის გადაწყვეტილებით II კატეგორიის მიხედვით კონკურსანტმა ალექსანდრე თევზაძემ მიიღო შეფასება „მაღალი“.

III კატეგორია - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა - კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს 29 პუბლიკაცია WEB of SCIENCE იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში, 2 სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაცია, უკანასკნელ წლებში მონაწილეობდა 2 საერთაშორისო და 1 ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციაში; **თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან:** კარნეგი მელონის უნივერსიტეტი, აშშ სიეგენის უნივერსიტეტი, გერმანია; **მისი ციტირების ინდექსია 1662, h-21, g-40**, სამეცნიერო კვლევების თემატიკა და შინაარსი ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და სრულიად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული ნაშრომი: “კვანტურ ქრომოდინამიკურ ფაზური გადასვლისას გაჩენილი მაგნიტური ველების ევოლუცია”, ა. თევზაძე, ლ. კისლინჯერი, ა. ბრანდენბურგი, თ. კახნიაშვილი, The Astrophysical Journal 759 (1), 54 **არის მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც გამოქვეყნებულია WEB of Science მაღალი იმპაქტ ფაქტორის (5.4) მქონე ჟურნალში.**

სამეცნიერო კვლევების კონცეფციაში კონკურსანტი დეტალურად აღწერს სამეცნიერო გეგმებს, კვლევის ობიექტებს, კვლევის აქტუალობას. კონკურსანტის სამეცნიერო მიზანი უახლოესი მომავლისთვის იქნება ახალი თეორიული სითხური მოდელის განვითარება სუსტად დაჯახებადი პლაზმისთვის, რომელიც გააერთიანებს როგორც კლასიკურ თერმოდინამიკურ, ასევე კინეტიკურ ეფექტებს. შემოთავაზებული სამეცნიერო კვლევის მიზანია: შემუშავებული იქნას გამარტივებული სითხური მიახლოება გაუხშოებული პლაზმის აღსაწერად მდგომარეობის განტოლების მიახლოებაში, რომელიც საშუალებას მოგვცემს ვაწარმოოთ, როგორც პირდაპირი რიცხვითი მოდელირება, ასევე სტატისტიკური ანალიზი ტურბულენტურ დინებებში; გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები ახალი სითხური მოდელის ჩამოსაყალიბებლად მდგომარეობის განტოლების მიახლოებაში, რომლის შექმნის ახალ ინსტრუმენტს გაუხშოებელი პლაზმის თვისებების შესწავლისათვის როგორც სამყაროში, ასევე ლაბორატორიულ ექსპერიმენტებში. კვლევის კონცეფცია ითვალისწინებს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტების ჩართულობას სხვადასხვა დონეზე. შესაბამისად კონკურსანტის საერთო შეფასება III კატეგორიის ორივე ნაწილში არის „მაღალი“

IV სხვა სახის აქტივობა: 2022-2027 უმაღლესი განათლების რეფორმის ექსპერტთა ეროვნული ჯგუფი, Erasmus+ ეროვნული ოფისი; 2022 - EC Horizon Europe – Cluster 4: Digital, Industry and Space (კომისიის წევრი); 2019 - არჩეული წევრი (Elected Fellow of IMA), Institute of Mathematics and its Applications, UK

კომისიის გადაწყვეტილებით საერთო შეფასება IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

კონკურსანტის შეფასების პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, დადგენილი პროცედურის დაცვით გაიმართა შეფასების მეორე ეტაპი - გასაუბრება.

გასაუბრების ეტაპზე კომისიის წევრების მიერ პრეტენდენტს დაესვა შეკითხვები მათი სამეცნიერო საქმიანობისა და სამომავლო სამეცნიერო გეგმების შესახებ, საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ (მათ შორის სტუდენტების სამეცნიერო კვლევებში ჩართვის), და სხვა კითხვები, რომლებიც დაკავშირებულია უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შრომით და საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობასთან. კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს პრეტენდენტმა ამომწურავი პასუხები გასცა: მან ისაუბრა პლაზმის ფიზიკის თანამედროვე ტენდენციებისა და მისი მიერ დაგეგმილი სამეცნიერო კვლევების როლის შესახებ თანამედროვე მეცნიერებაში; კონკურსანტმა ასევე ისაუბრა აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიასთან თანამშრომლობის გაძლიერებისა და თსუ სხვადასხვა საფეხურის სტუდენტების ჩართვის შესახებ ობსერვატორიის აქტივობებში. კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, დისკუსიაში ჩართულობა, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა.

პრეტენდენტმა გასაუბრების ეტაპზე წარმოაჩინა მაღალი პროფესიული კომპეტენცია, ფართო სამეცნიერო ხედვა და შემდგომი კვლევების განვითარების მკაფიო გეგმა. მისი პასუხები გამოირჩეოდა სიღრმისეულობითა და არგუმენტირებულობით, რაც ადასტურებს როგორც მის სამეცნიერო, ასევე პედაგოგიურ პოტენციალს. განსაკუთრებით აღსანიშნავია პლაზმის ფიზიკის თანამედროვე ტენდენციებზე მისი ხედვა და სამომავლო კვლევების მნიშვნელობის გააზრება, აგრეთვე სტუდენტების ჩართვის აქტიური მზაობა სამეცნიერო პროცესებში. პრეტენდენტი ხაზს უსვამს თანამშრომლობის გაძლიერებას აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიასთან, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო-სამეცნიერო აქტივობების განვითარებას. შესაბამისად, გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტ **ალექსანდრე თევზაძის** კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია ფიზიკის დეპარტამენტის **პლაზმის ფიზიკის კათედრის პროფესორის (კატეგორია ბ)** მოთხოვნებთან.

შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ჩატარდა ფარული კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა კომისიის ყველა წევრი.

ფიზიკის დეპარტამენტის პლაზმის ფიზიკის კათედრის პროფესორის (კატეგორია ბ) გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა ერთხმად დაუჭირა მხარი **ალექსანდრე თევზაძის** კანდიდატურას.

საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია პლაზმის ფიზიკის კათედრის, ფიზიკის დეპარტამენტის და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროებით, მათი განვითარების პერსპექტივებით. გადაწყვეტილების მიღებისას კომისია დაეყრდნო

კონკურსანტის ნაყოფიერ და წარმატებულ ადმინისტრაციულ, აკადემიურ და სამეცნიერო საქმიანობას (გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე მუშაობის დიდი გამოცდილება, სამეცნიერო პუბლიკაციების დიდი რიცხვი, გამორჩეულად მაღალი ციტირების ინდექსი, საერთაშორისო აკადემიური და სამეცნიერო თანამშრომლობის დიდი გამოცდილება), ასევე მის პროფესიულ უნარ-ჩვევებს და პიროვნულ თვისებებს.

კომისიამ ერთხმად დაადგინა: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტის პლაზმის ფიზიკის კათედრის პროფესორის (ზ კატეგორია) ერთ ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა დოქტორი **ალექსანდრე თევზაძე**.

2. მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის ალექსანდრე შენგელაიას ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტზე **ელემენტარული ნაწილაკების და კვანტური ველების კათედრის ასოცირებული პროფესორის** (ა-კატეგორია) ერთი საკონკურსო თანამდებობის დასაკავებლად საბუთები შემოიტანა ერთმა კანდიდატმა - დოქტორმა **მერაბ გოგბერაშვილმა**.

კომისიის თავმჯდომარემ მიმოიხილა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გასაუბრებისა და კენჭისყრის შედეგები.

აღინიშნა, რომ მერაბ გოგბერაშვილის

- **განათლება:** 1975 –1980-ჯავახიშვილის თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი (მაგისტრთან გათანაბრებული); 1983 –1986- ლომონოსოვის მოსკოვის სახ. უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი (ასპირანტი)
- **აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი:** ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
- **სამსახურებრივი გამოცდილება:** 1983 - 1987-მ. ლომონოსოვის მოსკოვის სახ. უნივერსიტეტის ასპირანტი; 1989 - დღემდე-ე. ანდრონიკაშვილი სახ. ფიზიკის ინსტიტუტის მკვლევარი; 2006 - დღემდე- ი. ჯავახიშვილის თბილისის სახ. უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.
- **პედაგოგიური სტაჟი:** 6 წელზე მეტი,
- **შეთავსებით მუშაობა:** ე. ანდრონიკაშვილის სახ. ფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მკვლევარი

შეესაბამება ვაკანსიის პროფილს და სრულიად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. შესაბამისად კონკურსანტმა **I კატეგორიის** მიხედვით მიიღო შეფასება **„კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“**.

II კატეგორია - პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან - აღინიშნა, რომ კონკურსანტის **პედაგოგიური გამოცდილება:** 2006 წლიდან დღემდე თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, მის მიერ **შემოთავაზებული და წაკითხული კურსები**

ბაკალავრიატის 5 და მაგისტრატურის 4 საგანში, **სასწავლო-მეთოდური საქმიანობა:** სახელმძღვანელო - ასტრონომიის და ასტროფიზიკის კვლევის საგანი და მეთოდები (2015), ელექტრონული კურსები: გრავიტაცია და კოსმოლოგია, ელემენტარული ნაწილაკების თეორია ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტსა და ფიზიკის დეპარტამენტზე განხორციელებულ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სავალდებულო/არჩევითი კურსებია. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულიად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს.

კომისიის გადაწყვეტილებით **II კატეგორიის მიხედვით კონკურსანტმა მერაბ გოგბერაშვილმა მიიღო შეფასება „მაღალი“.**

III კატეგორია - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა - კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს **31** პუბლიკაცია WEB of SCIENCE იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში, 4 სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაცია, უკანასკნელ წლებში მონაწილეობდა 6 საერთაშორისო კონფერენციაში, არის 1 სამეცნიერო პროექტის ხელმძღვანელი; ქვს **თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან:** CERN (შვეიცარია), კალიფორნიის სახელმწიფო უნივერსიტეტი (აშშ), ჰელსინკის უნივერსიტეტი (ფინეთი) ლ'აკვილას უნივერსიტეტი (იტალია); **მისი ციტირების ინდექსია 2490 , h-22, g-47**, სამეცნიერო კვლევების თემატიკა და შინაარსი ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და სრულიად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული ნაშრომი: M. Gogberashvili, "The bimetric model with an informational metric tensor" (Gen. Rel. Grav., 55, 104 (2023)- **არის მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც გამოქვეყნებულია WEB of Science მაღალი იმპაქტ ფაქტორის (2.8) მქონე ჟურნალში.**

სამეცნიერო კვლევების კონცეფციაში კონკურსანტი დეტალურად აღწერს სამეცნიერო გეგმებს, კვლევის ობიექტებს, კვლევის აქტუალობას, თეორიული კვლევების შესაძლო კავშირს მომავალ ექსპერიმენტებთან. კვლევები დაგეგმილი არის შემდეგი მიმართულებებით: მემბრანულ მოდელები და დამატებითი განზომილებები, ნორმირებული ალგებრების გამოყენება ფიზიკაში, გრავიტაციის თერმოდინამიკული მოდელი, ფიზიკური ეფექტები შავი ხვრელების მიდამოებში.

შესაბამისად კონკურსანტის საერთო შეფასება **III კატეგორიის ორივე ნაწილში არის „მაღალი“**

IV სხვა სახის აქტივობა: ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტების ხელმძღვანელობა; ენები: ქართული, რუსული, ინგლისური.

კომისიის გადაწყვეტილებით საერთო შეფასება **IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.**

კონკურსანტის შეფასების პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, დადგენილი პროცედურის დაცვით გაიმართა შეფასების მეორე ეტაპი - გასაუბრება.

გასაუბრების ეტაპზე კომისიის წევრების მიერ პრეტენდენტს დაესვა შეკითხვები მათი სამეცნიერო საქმიანობისა და სამომავლო სამეცნიერო გეგმების შესახებ, საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ (მათ შორის სტუდენტების სამეცნიერო კვლევებში ჩართვის), და სხვა კითხვები, რომლებიც დაკავშირებულია უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შრომით და საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობასთან. კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს პრეტენდენტმა ამომწურავი პასუხები გასცა: მან ისაუბრა მისი კვლევითი სფეროსა და გეგმების, ასევე სხვადასხვა საფეხურის სტუდენტების სამეცნიერო კვლევებში ჩართულობის შესახებ; კოსმოლოგიური კვლევების მიმართ მათი დაინტერესების შესახებ. კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, დისკუსიაში ჩართულობა, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა.

პრეტენდენტმა გასაუბრების პროცესში წარმოაჩინა მაღალი აკადემიური და პროფესიული მომზადება. კომისიის მიერ დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები იყო სრულყოფილი, არგუმენტირებული. იგი დეტალურად შეეხო საკუთარი კვლევითი სფეროს განვითარებისა და სამომავლო სამეცნიერო გეგმების საკითხებს, განსაკუთრებით სტუდენტების სხვადასხვა საფეხურზე ჩართვისა და მათი კოსმოლოგიური კვლევებით დაინტერესების წახალისების მნიშვნელობას. შესაბამისად, გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტ **მერაბ გოგბერაშვილის** კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია ფიზიკის დეპარტამენტის ელემენტარული ნაწილაკების და კვანტური ველების კათედრის ასოცირებული პროფესორის (კატეგორია ა) მოთხოვნებთან.

შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ჩატარდა ფარული კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა კომისიის ყველა წევრი.

ფიზიკის დეპარტამენტის ელემენტარული ნაწილაკების და კვანტური ველების კათედრის ასოცირებული პროფესორის (კატეგორია ა) გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა ერთხმად დაუჭირა მხარი მერაბ გოგბერაშვილის კანდიდატურას.

საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია ელემენტარული ნაწილაკების და კვანტური ველების კათედრის, ფიზიკის დეპარტამენტის და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროებით, მათი განვითარების პერსპექტივებით. გადაწყვეტილების მიღებისას კომისია დაეყრდნო კონკურსანტის ნაყოფიერ და წარმატებულ აკადემიურ და სამეცნიერო საქმიანობას (სამეცნიერო პუბლიკაციების დიდი რიცხვი, გამორჩეულად მაღალი ციტირების ინდექსი, სტუდენტების ჩართვა სამეცნიერო საქმიანობაში), გამოცდილებას (18 წლიანი პედაგოგიური სტაჟი), საერთაშორისო კვლევებში ჩართულობას, ასევე პროფესიულ უნარ-ჩვევებს და პიროვნულ თვისებებს.

კომისიამ ერთხმად დაადგინა: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტის ელემენტარული ნაწილაკების და კვანტური ველების კათედრის

ასოცირებული პროფესორის (ა კატეგორია) ერთ ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა დოქტორი **მერაბ გოგბერაშვილი**.

3. მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის ალექსანდრე შენგელაიას ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტზე **რადიოფიზიკის, ფიზიკური პროცესების მოდელირების მიმართულების ასოცირებული პროფესორის (ა-კატეგორია)** ერთი საკონკურსო თანამდებობის დასაკავებლად საბუთები შემოიტანა ერთმა კანდიდატმა - დოქტორმა **ოლეგ ხარშილამემ**.

კომისიის თავმჯდომარემ მიმოიხილა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გასაუბრებისა და კენჭისყრის შედეგები.

აღინიშნა, რომ ოლეგ ხარშილამის

- **განათლება:** 1976 - 1981- ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფიზიკის ფაკულტეტი, რადიოფიზიკა;
- **აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი:** ფიზ.-მათ. მეცნიერებათა დოქტორი
- **სამსახურებრივი გამოცდილება:** 1987-1990 - თსუ, ფიზიკის ფაკულტეტი - ლაბორანტი; 1987-1990 - თსუ, ფიზიკის ფაკულტეტი - ასისტენტი, 1990-2005 - თსუ ფიზიკის ფაკულტეტი - დოცენტი; 2003-2006 - საქართველოს კოსმოსური სააგენტო - თავმჯდომარის მოადგილე; 2007-დღემდე - თსუ მ. ნოდის გეოფიზიკის ინსტიტუტის კოსმოსური კვლევების ცენტრი - მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი; 2009-დღემდე თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
- **პედაგოგიური სტაჟი:** 6 წელზე მეტი,
- **შეთავსებით მუშაობა:** ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდის გეოფიზიკის ინსტიტუტის კოსმოსური კვლევების ცენტრი - მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

შეესაბამება ვაკანსიის პროფილს და სრულიად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. შესაბამისად კონკურსანტმა **I კატეგორიის** მიხედვით მიიღო შეფასება **„კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“**.

II კატეგორია - პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან - აღინიშნა, რომ კონკურსანტის **პედაგოგიური გამოცდილება:** 2009 წლიდან დღემდე თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, მის მიერ **შემოთავაზებული და წაკითხული კურსები** ბაკალავრიატის 6 და მაგისტრატურის 2 და დოქტორანტურის 2 საგანში, ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტსა და ფიზიკის დეპარტამენტზე განხორციელებულ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სავალდებულო/არჩევითი კურსებია. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულიად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს. **კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები/ტრენინგები:** მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ტექნიკის

ახალ მიმართულებებში კადრების გადამზადების სპეციალური ფაკულტეტი, 1985 ლაზერული ტექნიკა, ასევე ვაკანსიის პროფილის შესაბამისია.

კომისიის გადაწყვეტილებით **II კატეგორიის მიხედვით კონკურსანტმა ოლეგ ხარშილადემ მიიღო შეფასება „მაღალი“.**

III კატეგორია - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა - კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს 54 პუბლიკაცია WEB of SCIENCE იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში, 17 სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაცია, უკანასკნელ წლებში მონაწილეობდა 12 საერთაშორისო კონფერენციაში; აქვს **თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან:** კალაბრიის უნივერსიტეტი, იტალია, ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის (OeAW) კოსმოსური კვლევების ინსტიტუტი (IWF) გრაცში, ავსტრია.

მისი ციტირების ინდექსია 549 , h-14 g-20, სამეცნიერო კვლევების თემატიკა და შინაარსი ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და სრულიად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

3.8 საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული ნაშრომი:

Gurchumelia A, Sorriso-Valvo L, Burgess D, Yordanova E, Elbakidze K, Kharshiladze O. and Kvaratskhelia D. "Comparing Quasi-Parallel and Quasi-Perpendicular Configuration in the Terrestrial Magnetosheath: Multifractal Analysis". Frontiers in Physics, Sec. Space Physics

არის მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც გამოქვეყნებულია WEB of Science მაღალი იმპაქტ ფაქტორის (2.1) მქონე ჟურნალში.

სამეცნიერო კვლევების კონცეფციაში კონკურსანტი დეტალურად აღწერს სამეცნიერო გეგმებს, კვლევის ობიექტებს, კვლევის აქტუალობას. დაგეგმილი სამეცნიერო კვლევები მოიცავს შემდეგ თემატიკებს: მზე დედამიწის კავშირები - მაგნიტური ქარიშხლები, მისი რაოდენობრივი მაჩვენებლების შეფასება და პროგნოზი, ძლიერი ქარიშხლების დედამიწისპირა მაგნიტომეტრული და თანამგზავრული მონაცემების ანალიზი და შესწავლა არაწრფივი დინამიკის მეთოდებით. დედამიწისპირა კლიმატის, მზისა და გეომაგნიტური აქტივობების შედარებითი ანალიზის მეთოდის შემუშავება, რაც მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილების თვალსაზრისით. არაწრფივი სოლიტონური და გრიგალური სტრუქტურების დინამიკის და ურთიერთქმედების თეორიული და რიცხვითი მოდელირება კოსმოსური პლაზმის გარემოში. ნეირონული აქტივობის შესწავლა ალგუნებადი ოსცილატორების მოდელის საშუალებით ეპილეფსიური დაავადების მექანიზმის გასარკვევად.

შესაბამისად კონკურსანტის საერთო შეფასება **III კატეგორიის ორივე ნაწილში არის „მაღალი“**

IV სხვა სახის აქტივობა: საქართველოს გეოფიზიკური ასოციაციის და საქართველოს თსუ მიხეილ ნოდუას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის მერაბ ალექსიძის სახელობის პრემია (2023); მოდელირების სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის ორგანიზება; სტუდენტთა სამეცნიერო წრის მუშაობის ხელმძღვანელობა

კომისიის გადაწყვეტილებით საერთო შეფასება **IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.**

კონკურსანტის შეფასების პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, დადგენილი პროცედურის დაცვით გაიმართა შეფასების მეორე ეტაპი - გასაუბრება.

გასაუბრების ეტაპზე კომისიის წევრების მიერ პრეტენდენტს დაესვა შეკითხვები მათი სამეცნიერო საქმიანობისა და სამომავლო სამეცნიერო გეგმების შესახებ, საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ (მათ შორის სტუდენტების სამეცნიერო კვლევებში ჩართვის), და სხვა კითხვები, რომლებიც დაკავშირებულია უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შრომით და საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობასთან. კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, დისკუსიაში ჩართულობა, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა.

პრეტენდენტმა გასაუბრების ეტაპზე გამოავლინა მაღალი პროფესიული კომპეტენცია და სამეცნიერო-საგანმანათლებლო ხედვა. კომისიის მიერ დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები გამოირჩეოდა სიზუსტით, არგუმენტირებულობითა და სიღრმისეულობით. იგი დეტალურად შეეხო როგორც საკუთარი სამეცნიერო საქმიანობისა და სამომავლო კვლევების გეგმებს, ასევე სტუდენტების კვლევით პროცესებში ჩართვის მნიშვნელობას. შესაბამისად, გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტ **ოლეგ ხარშილადის** კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია ფიზიკის დეპარტამენტის რადიოფიზიკა, ფიზიკური პროცესების მოდელირები მიმართულების ასოცირებული პროფესორის (კატეგორია ა) მოთხოვნებთან.

შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ჩატარდა ფარული კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა კომისიის ყველა წევრი.

რადიოფიზიკა, ფიზიკური პროცესების მოდელირები მიმართულების ასოცირებული პროფესორის (კატეგორია ა) გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა ერთხმად დაუჭირა მხარი **ოლეგ ხარშილადის** კანდიდატურას.

საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია რადიოფიზიკა, ფიზიკური პროცესების მოდელირები მიმართულების, ფიზიკის დეპარტამენტის და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროებით, მათი განვითარების პერსპექტივებით. გადაწყვეტილების მიღებისას კომისია დაეყრდნო კონკურსანტის აკადემიურ და სამეცნიერო საქმიანობას (სამეცნიერო პუბლიკაციების დიდი რიცხვი, ეროვნულ და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა, მაღალი ციტირების ინდექსი, სტუდენტების ჩართვა სამეცნიერო საქმიანობაში), გამოცდილებას (მრავალწლიანი პედაგოგიური სტაჟი), პროფესიულ უნარ-ჩვევებს და პიროვნულ თვისებებს.

კომისიამ ერთხმად დაადგინა: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტის რადიოფიზიკა, ფიზიკური პროცესების მოდელირები მიმართულების

ასოცირებული პროფესორის (ა კატეგორია) ერთ ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა დოქტორი **ოლეგ ხარშილაძე**.

4. მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის ალექსანდრე შენგელაიას ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტზე **ატომისა და ატომბირთვის ფიზიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის** (ა-კატეგორია) ერთი საკონკურსო თანამდებობის დასაკავებლად საბუთები შემოიტანა ერთმა კანდიდატმა - დოქტორმა **ზაალ მაჭავარიანმა**. კომისიის თავმჯდომარემ მიმოიხილა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გასაუბრებისა და კენჭისყრის შედეგები.

აღინიშნა, რომ ზაალ მაჭავარიანის

- **განათლება:** 1988-1993 თსუ ფიზიკის ფაკულტეტი (ფიზიკოსი, ფიზიკის მასწავლებელი); 993-1996 თსუ ფიზიკის ფაკულტეტი (ასპირანტურა);
- **აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი:** ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
- **სამსახურებრივი გამოცდილება:** 01/03/1997 - თსუ ზოგადი ფიზიკის კათედრის სამეცნიერო ლაბორანტი; 12/06/1998 - თსუ ფიზიკის ფაკულტეტის ზოგადი ფიზიკის კათედრასთან არსებული ს/კ ლაბორატორიის უმცროსი მეცნიერ მუშაკი; 02/09/2002 - თსუ ფიზიკის ფაკულტეტის ზოგადი ფიზიკის კათედრასთან არსებული ს/კ ლაბორატორიის უფროსი მეცნიერ მუშაკი; 2006 - დღემდე თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტის ასოცირებული/ასისტენტ პროფესორი; 2021-2025 (აპრილი) - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სადოქტორო სკოლის კოორდინატორი;
- **პედაგოგიური სტაჟი:** 6 წელზე მეტი,
- **შეთავსებით მუშაობა:** 2021-2025 (აპრილი) - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სადოქტორო სკოლის კოორდინატორი

შეესაბამება ვაკანსიის პროფილს და სრულიად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. შესაბამისად კონკურსანტმა **I კატეგორიის** მიხედვით მიიღო შეფასება **„კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“**.

II კატეგორია - პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან - აღინიშნა, რომ კონკურსანტის **პედაგოგიური გამოცდილება:** 2006 წლიდან დღემდე თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტის ასოცირებული/ასისტენტ პროფესორი, მის მიერ **შემოთავაზებული და წაკითხული კურსები** ბაკალავრიატის 5 და მაგისტრატურის 1 საგანში, **სასწავლო-მეთოდური საქმიანობა:** ატომური ფიზიკა” ლექციების კურსი (2018) ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტსა და ფიზიკის დეპარტამენტზე განხორციელებულ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სავალდებულო/არჩევითი კურსებია. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულიად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს.

კომისიის გადაწყვეტილებით **II კატეგორიის მიხედვით კონკურსანტმა ზაალ მაჭავარიანმა მიიღო შეფასება „მაღალი“.**

III კატეგორია - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა - კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს **6** პუბლიკაცია WEB of SCIENCE იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში, 14 სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაცია, უკანასკნელ წლებში მონაწილეობდა 2 საერთაშორისო კონფერენციაში, არის 1 სამეცნიერო პროექტის ძირითადი შემსრულებელი; ქვს **თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან:** GSI Helmholtzzentrum für Schwerionenforschung დარმშტატი, გერმანია, მაკს-პლანკის სახელობის ბირთვული ინსტიტუტი, ჰაიდელბერგი, გერმანია, ბელგიის ქალაქ ლუვენ-ლა-ნიუვის კათოლიკური უნივერსიტეტი, როლას უნივერსიტეტში (აშშ მისურის შტატი); **მისი ციტირების ინდექსია 115 , h-7, g-13**, სამეცნიერო კვლევების თემატიკა და შინაარსი ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და სრულიად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული ნაშრომი: R.Ya. Kezerashvili, Z.S. Machavariani, B. Beradze, T. Tchelidze “Trions and biexcitons in ZnO/ZnMgO, CdSe/ZnS and CdSe/CdS core/shell nanowires” Physica E: Low-dimensional Systems and Nanostructures Volume 109, May 2019, Pages 228-241- **არის მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც გამოქვეყნებულია WEB of Science მაღალი იმპაქტ ფაქტორის (3.19) მქონე ჟურნალში.**

სამეცნიერო კვლევების კონცეფციაში კონკურსანტი დეტალურად აღწერს ატომურ პროცესებთან დაკავშირებულ მეცნიერების თანამედროვე ტენდენციებს, მის სამეცნიერო გეგმებს, კვლევის ობიექტებს, კვლევის აქტუალობას. მისი კვლევითი მიმართულება მოიცავს როგორც წმინდა ატომურ-მოლეკულურ პროცესებს, ასევე ნახევარგამტარი კვანტური სტრუქტურების თეორიულ კვლევას. კონკურსანტი ყურადღებას აქცევს სხვადასხვა საფეხურის სტუდენტების სამეცნიერო კვლევებში ჩართვის შესაძლებლობას და მნიშვნელობას.

შესაბამისად, კონკურსანტის საერთო შეფასება **III კატეგორიის ორივე ნაწილში არის „მაღალი“**

IV სხვა სახის აქტივობა:

Erasmus+ mobility staff mobility for training Université Paris-Saclay (2025); Erasmus+ staff mobility at Université Paris Saclay (2023); საბაკალავრო და 1 სამაგისტრო ნაშრომის თანახმდგენელობა (2020) (2022); ფიზიკის დეპარტამენტის სტუდენტური და სამეცნიერო კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი (2018-2025); საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების დაცვის მუდმივმოქმედი კომისიის წევრი (2018-2025); ნობელის პრემიის ლაურეატის ექსპერიმენტები ფიზიკაში - მეცნიერების პოპულარიზაციის ღონისძიება საშუალო და უმაღლესი სკოლის მოსწავლეებისთვის, თბილისი, (2025); Fortran, C++, MaTLab, Maple, Mathematica; ინგლისური (B2), რუსული (C2), ფრანგული(A1)

კომისიის გადაწყვეტილებით საერთო შეფასება **IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.**

კონკურსანტის შეფასების პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, დადგენილი პროცედურის დაცვით გაიმართა შეფასების მეორე ეტაპი - გასაუბრება.

გასაუბრების ეტაპზე კომისიის წევრების მიერ პრეტენდენტს დაესვა შეკითხვები მათი სამეცნიერო საქმიანობისა და სამომავლო სამეცნიერო გეგმების შესახებ, საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ (მათ შორის სტუდენტების სამეცნიერო კვლევებში ჩართვის), და სხვა კითხვები, რომლებიც დაკავშირებულია უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შრომით და საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობასთან. კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს პრეტენდენტმა ამომწურავი პასუხები გასცა. კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, დისკუსიაში ჩართულობა, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა.

პრეტენდენტმა გასაუბრების ეტაპზე გამოავლინა მაღალი პროფესიული კომპეტენცია და აკადემიური საქმიანობისათვის აუცილებელი უნარები. კომისიის მიერ დასმულ მრავალმხრივ შეკითხვებზე მისი პასუხები გამოირჩეოდა სიღრმისეულობითა და არგუმენტირებულობით. მან წარმოაჩინა როგორც სამეცნიერო საქმიანობის გაგრძელებისა და განვითარების ხედვას, ასევე საგანმანათლებლო პროცესში სტუდენტების აქტიური ჩართვის მზადყოფნა. შესაბამისად, გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტ **ზაალ მაჭავარიანის** კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია ფიზიკის დეპარტამენტის ატომისა და ატომბირთვის იფიზიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის (კატეგორია ა) მოთხოვნებთან.

შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ჩატარდა ფარული კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა კომისიის ყველა წევრი.

ფიზიკის დეპარტამენტის ატომისა და ატომბირთვის ფიზიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის (კატეგორია ა) გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა ერთხმად დაუჭირა მხარი ზაალ მაჭავარიანის კანდიდატურას.

საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია ატომისა და ატომბირთვის ფიზიკის კათედრის, ფიზიკის დეპარტამენტის და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროებით, მათი განვითარების პერსპექტივებით. გადაწყვეტილების მიღებისას კომისია დაეყრდნო კონკურსანტის ნაყოფიერ და წარმატებულ აკადემიურ და სამეცნიერო საქმიანობას (სამეცნიერო პუბლიკაციები სტუდენტების ჩართვა სამეცნიერო საქმიანობაში), გამოცდილებას (19 წლიანი პედაგოგიური სტაჟი), პროფესიულ უნარ-ჩვევებს და პიროვნულ თვისებებს,

კომისიამ ერთხმად დაადგინა: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტის ატომისა და ატომბირთვის ფიზიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის (ა კატეგორია) ერთ ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა დოქტორი **ზაალ მაჭავარიანი**.

5. კომისიამ იმსჯელა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ #118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის შესახებ და ერთხმად გაადგინა: შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს საჯაროდ უნივერსიტეტის ვებ გვერდზე ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე და დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის წევრების ხელმოწერა

თარიღი 29.09.2025

პროფ. ალექსანდრე შენგელაია
კომისიის თავმჯდომარე;



პროფ. ნანა შათაშვილი
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;



პროფ. თამაზ კერესელიძე
კომისიის წევრი



პროფ. რამაზ ხომერიკი
კომისიის წევრი



ასოც. პროფ. თამარ ჭელიძე
კომისიის მდივანი

